






2010 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 4,2 მილიარდ ლარს (2,5 მლრდ. აშშ დოლარი) გაუტოლდა. მშპ-ს რეალურმა ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით 4.5 პროცენტი შეადგინა. 2009 წლის მონაცემებით, საქართველოს ნომინალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 17,9 მილიარდი ლარი (10,7 მლრდ. აშშ დოლარი) შეადგინა.

2010 წლის პირველ კვარტალში მშპ ერთ სულზე 958,6 ლარს (556,9 აშშ დოლარი) გაუტოლდა, რაც მიმდინარე ფასებში 5.0 პროცენტით აღემატება 2009 წლის პირველი კვარტლის ანალოგიურ მონაცემს (889,9 ლარი; 530,6 აშშ დოლარი). 2006 წლიდან, პირველ კვარტლებს შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიმდინარე წელს დაფიქსირდა.

2010 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი წილი მრეწველობას (16.1%), ვაჭრობას (15.9%), ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას (13.4%), სახელმწიფო მმართველობას (11.4%), სოფლის მეურნეობას (10.0%) და სხვა დარგებს უკავია.



ნომინალური მშპ-ს კომპონენტები



	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010 I კვ
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	9 824,3	11 620,9	13 789,9	16 993,8	19 074,9	17 948,6	4 252,6
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	5.9	9.6	9.4	12.3	2.3	-3.9	4.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	2 276,7	2 689,1	3 133,1	3 866,9	4 352,9	4 092,8	958,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო ინფორმაცია: